

## საქართველოს კანონი

“საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილების  
შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში  
(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №41(48) 1999 წელი, მუხლი 209)  
შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

კოდექსის მე-200 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 200. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის  
აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა

1. აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული  
საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან  
გადაზიდვა, –

ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ხუთ თვემდე ანდა თავისუფლების  
აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) არაერთგზის;

ბ) დიდი ოდენობით, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

შენიშვნა: 1. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ  
ქმედებებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისგებლობა დგება,  
როდესაც აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული  
საქონლის ღირებულება აღემატება სამი ათას ლარს.

2. ამ მუხლში დიდ ოდენობად ითვლება საქონლის ღირებულება ათი ათასი ლარის ზევით.“

მუხლი 2. ეს კანონის ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მეოთხთმეტე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი